შრომა

სურათებიანი დამაგება

დაჭატების № 33. ხუთშაბათი. 3 აგვისტო. 1906 წ. გაზეთის № 97

მოცლილ კაცისგის გაკვა

ლ. ტოლსტოისა.

(თარგმანი)

ერთ მდიდარ ოჯახში სტუმრებმა მოიყარეს თავი და სერიოზული ლაპარაკი ჩამოაგდეს ცხოვრების ვითარებაზე.

ლაპარაკობდნენ დამსწრეთა და არა დამსწრეთა შესახებ და ვერც ერთი ადამიანი ვერ გამონახეს თავის ცხოვრებით კმაყოფილი.

ბედნიერებას ვინ სჩიოდა, არც ერთი ადამიანი არ იყო ისეთი, რომ სჯეროდეს, ისე ვცხოვრობ, როგორც ქრისტიანმა უნდა იცხოვროსო. ყველანი გამოტყდნენ, რომ ამ სოფლის ცხოვრებას მისდევენ, მხოლოდ თავიანთ თავზე და თავიანთ ოჯახზე ზრუნავენ, არც ერთი მათგანი არა ფიქრობს თავის მოყვასზე და ყველაზე ნაკლებად ღმერთზე.

ასე ელაპარაკებოდენ სტუმრები ერთმანეთს, ყველა ერთხმად აბრალებდა თავის თავს ულვთო, არა-ქრისტიანულ ცხოვრებას.

— მაშ რიღასთვის ვცხოვრობთ ასე,—წამოიძახა ერთმა ჭაბუკმა,—რად ვშვრებით იმას, რაც თვითონ არ მოგვწონს? განა ჩვენ ხელთ არ არის ჩვენი ცხოვრების შეცვლა? კარგად გვესმის, რომ გვღუპავს ჩვენი ფუფუნება, ჩვენი ნებივრობა, ჩვენი სიმდიდრე, და, ყველაზე მეტად, ჩვენი ამპარტავნობა, ჩვენ ძმებისაგან განცალკევება. წარჩინებულობისა და სიმდიდრის გულისათვის ჩვენ უნდა დავაკლოთ ჩვენ თავს ყველაფერი, რაც სიხარულს ანიჭებს ადამიანის ცხოვრებას. ჩვენ ვიჯგუფებით ქალაქებში, თავს ვასუფთებთ, ჯანსა ვღუპავთ და, თუმც ბევრი თავ-შესაქცევარი გვაქვს, მოწყენილობა გვკლავს და ვწუხვართ, რომ ჩვენი ცხოვრება არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. მაშ რად ვცხოვრობთ ასე, რად ვღუპავდ ამნაირად მთელ ჩვენ სიცოცხლეს, მთელ იმ სიკეთეს, რომელიც ღვთისგან გვაქვს მოცემული? არ მინდა წინანდებურად ცხოვრება, დაწყებულ სწავლაზე ხელს ავიღებ; სხვაგან ხომ არსად მიმიყვანს იგი, იმ ტანჯულ ცხოვრების გარდა, რომელსაც ახლა ყველანი ვეუჩივით. უარ-ვყოფ ჩემ ქონებას, წავალ და ღარიბებთან ვიცხოვრებ სოფელში. ვიმუშავებ იმათთან ერთად, ვისწავლი ხელობით მუშაობას და, თუ სჭირიათ ღარიბებს ჩემი განათლებულობა, გადავცემ იმათ, დაწესებულებათა და წიგნების საშუალებით კი არა, პირდაპირ, მათთან ძმურის ცხოვრებით. დიაღ, მე ეს გადავწყიტე,—სთქვა მან და შემკითხავის თვალით შეხედა თავის მამას, რომელიც აქვე იყო.



ბერცენშტეინი

ტერიოკში მოკლული დეპუტატი.

— შენი სურვილი კეთილია,—სთქვა მამამ,—მხოლოდ ჭიატე გულის ნაყოფი და მოუფიქრებელია. ყველაფერი ასე ადვილად გეჩვენება იმიტომ რომ, ცხოვრებას ვერ იცნობ. ბევრი რამ გვგონია ჩვენ კარგი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ კარგის ასრულება ძრიელ ძნელი და რთულია ხოლმე. ძნელია ნატკეპნის ბილიკით კარგად სიარული, მაგრამ ახალის გზების გაკრა კიდევ უფრო ძნელია. ამისთანა გზებს ისეთი კაცები გასჭრიან ხოლმე, რომელნიც სრულიად მოწიფულნი არიან და შეუძლიათ ყველა ის, რაც ხელმისაწვდომია ადამიანისათვის. ცხოვრების ახალი გზები ადვილად იმიტომ გეჩვენება, რომ შენ ჯერ ცხოვრების ვითარება არ გესმის. ყველა ეს ახალგაზდას მჩატე აზრები და აპპარტავნობაა. ჩვენ, მოხუცებული კაცები, იმისათვის ვართ საჭირონი, რომ თქვენი გატაცება ავლაგმოთ და ჩვენის გამოცდილებით ხელმძღვანელობა გაგიწიოთ, თქვენ კი ახალგაზდებმა, ჩვენ ნებაზე უნდა იაროთ, რათა ჩვენის გამოცდილებით ისარგებლოთ. შენი მოღვაწეობა მომავალში იქნება, ახლა კი იზდები და განვითარების გზას ადგეხარ. გაიზარდე, სავსებით განათლდი, და მოუკიდებლობა შეიძინე, შენი საკუთარი მტკიცე რწმენა იქონიე და მაშინ დაიწყე ახალი ცხოვრება, თუ კი საამისო ძალ-ღონე შეგწევს. ახლა კი უნდა დაემორჩილო იმათ, რომელნიც ხელმძღვანელობას გიწევენ შენდა სასიკეთოდ. და ახალ გზების გაკრა კი შენი საქმე არ არის.

ჭაბუკი გაჩუმდა და უფროსები დაეთანხმნენ იმას, რაც მამა მისმა სთქვა.

— თქვენ მართალი ბრძანდებით,—მიმართა ყმაწვილის მამას ცოლ-შვილიანმა, შუა ხნის კაცმა.—მართალია,—სთქვა მან,—ჭაბუკს არა აქვს გამოცდილება და, შეიძლება, შესცდეს ცხოვრების ახალ გზების ძებნაში და არ შეიძლება, რომ მტკიცე იყოს იმისი გარდაწყვეტილება, მაგრამ ხომ ყველანი დავთანხმდით იმაზე, რომ ჩვენი ცხოვრება ჩვენის სვინიდისის წინააღმდეგია, და სიკეთეს არ გვაძლევს. ამიტომ არ შეიძლება სამართლიანად არ ვიცნათ ამ ცხოვრებიდან გამოსვლის სურვილი. შესაძლებელია, რომ ჭაბუკს იმისი ოცნება გონების დასკვნად ეჩვენოს, მე კი ჭაბუკი არა ვარ; და ჩემ თავზე შემდეგს მოგახსენებთ: ამ საღამოს, ლაპარაკს რომ უსმენდი, სწორედ ამნაირივე ფიქრი დამებადა თავში. ცხადია ჩემთვის, რომ ის ცხოვრება, რომელსაც ახლა ვადგევარ, ვერ შემძენს სინიდისის სიმშვიდეს და სიკეთეს. ამაში გამოცდილებაცა და გონებაც მემოწმება. მაშ რაღას ველოდები? თავს ვიკლავ დილიდან საღამომდის ჩემი ოჯახის გულისათვის, ნამდვილად კი გამოდის, რომ მეცა და ჩემი ოჯახობაც არა ვცხოვრობთ ღვთისნიერად, და უფრო და უფრო უარესად ვიფლობით ცოდვებში. ოჯახისათვის ვცდილობ, ოჯახს კი სიკეთე არ ემატება, რადგან ის, რასაც მი-თვის ვაკეთებ, არ არის კეთილი. ამიტომაც ხშირად მომდის ფიქრად: განა უკეთესი არ იქნება



ერთი უბანი სიზრანისა, ცეცხლის შემდეგ.

შევცვალო მთელი ჩემი ცხოვრება, სწორედ ისე მოვიქცე, როგორც ამ ჯაბუკმა სთქვა: დავანებო თავი ცოლშვილზე ზრუნვას და მხოლოდ ჩემ სულზე ვიფიქრო. ტყუილად კი არა აქვს პავლე მოციქულს ნათქვამი: „ცოლიანი ცოლისათვის ზრუნავს, უცოლო კი ღვთისთვისაო“.

ძლივს მოასწრო ამისი გამოთქმა ცოლიანმა კაცმა, რომ დამსწრე ქალები და ცოლი დაესივნენ.

— მაგაზე ადრე უნდა გეფიქრათ!—სთქვა ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა.

— თუ ერთხელ უღელი დაიდევი, უნდა გასწიო. ასე ყველა იტყვის, სულის ცხონება მინდაო, უღლის გაწევა და ცოლშვილის რჩენა რომ გაუჭირდება. ეს სიყალბეა, საძაგლობაა. არა, ადამიანმა ოჯახში უნდა შესძლოს ღვთისნიერი ცხოვრება. ასე კი მეტად ადვილია მარტოკა თავის სულის ცხონება. მერე, უმთავრესი ისაა, რომ ვინც ამას სჩადის—ქრისტეს მცნებას არღვევს. ღმერთმა სხვების სიყვარული ბრძანა, ამით კი თქვენ ღვთის გულისათვის სხვებს გინდათ აწყენინოთ. არა, ცოლიან კაცს თავისი გარკვეული ვალდებულებანი აძევს და არ უნდა გაურბოდეს. ოჯახს რომ ფეხზე დააყენებთ, მაშინ კი სხვა საქმეა. მაშინ როგორც გსურთ, ისე მოიქეცით, არავის არა აქვს უფლება ძალა დაატანოს თავის ცოლშვილს.

ცოლიანი კაცი არ დასთანხმდა. ამას იმან სთქვა:

— მე არ მინდა ოჯახის დატოვება. მე მხოლოდ ვამბობ, რომ თვით ეს ოჯახი არა ამ სოფლიურად უნდა წაიყვანოს ადამიანმა; არა, ისე, რომ, როგორც ახლა ვამბობდით, თავის ხორციელ წადილისათვის ცხოვრებას შეეჩვევნენ, არამედ უნდა წაიყვანოს ისე, რომ შვილები სიყრმიდან შეეჩვევნენ გაჭირვებას, შრომას, ადამიანთა შეწევნას და, უმთავრესად—ყველასთან ძმურ ცხოვრებას. და ამისათვის ადამიანმა უნდა უარჰყოს თავისი სიმდიდრე და დიდკაცობა.

— სხვების მორჯულებას თავი დაანებე, სანამ თვითონ არა სცხოვრობ ღვთისნიერად, — გაცხარებით მიუგო ამაზე ცოლმა.—ყმაწვილობიდან შენის სიამოვნებისთვის გიცხოვრია, რად გინდა ახლა აწვალო შენი შვილები და შენი ოჯახი? გაიზარდნენ მშვიდობით, მერე კი, როგორც თავად ისურვებენ, ისე მოიქცევიან, შენ კი ძალას ნუ დაატან.

ცოლიანი კაცი გაჩუმდა. ერთი მოხუცებული კაცი, რომელიც აქვე იყო, გამოესარჩლა მას.

— ვთქვათ, მართალია,—სთქვა მან,—ცოლ შვილიანმა კაცმა, თუ კი ერთხელ შეაჩვია თავისი ოჯახი კარგ ცხოვრებას, უეცრად არ უნდა წაართვას ყველა ეს. მართალია, თუ კი დაწყებულია შვილების აღზრდა, სჯობია დასრულდეს კიდეც. მით უმეტეს, რომ შვილები, როცა გაიზრდებიან, თავად აირჩევენ იმ გზას, რომელსაც თავიანთვინ საუკეთესოდ დაინახავენ. თანახმა ვარ, რომ ცოლ-შვილიან კაცისათვის ძნელია და კიდევაც შეუძლებელია უცოდველად თავის ცხოვრების გადასხვაფერება, ბებრებს კი, ეს ღვთისაგან გვაქვს ნაბძანები. ჩემ თავზე ვიტყვი: ვცხოვრობ ყოველ ვალდებულებისაგან თავისუფალი, მარტალი რომ ვსთქვათ, მხოლოდ ჩემის კუჭისათვის ვცხოვრობ: ვჭამ, ვსვამ, ვისვენებ, ასე რომ თავად მე მძაგს და მეზიზღება ჩემი თავი. აი ჩემთვის კი დროა დავაგდო ეს ცხოვრება, გავცე ჩემი ქონება და სიკვდილის წინ მაინც ვიცხოვრო ისე, როგორც ღმერთმა უბძანა ქრისტიან ადამიანს.

არ დაეთანხმნენ არც მოხუცებულ კაცს. აქ იყო იმისი შვილი, იმისი დისწული და ერთი ნათლული, რომელსაც მან ყველა შვილები მოუნათლა და ბედნიერ დღეზე ასაჩუქრებდა. ყველანი წინააღუდგენ მას.

— არა,—სთქვა მოხუცის შვილმა,—თქვენ ბევრი გიშრომიათ სიცოცხლეში, ახლა უნდა დაისვენოთ და ყოველი მწუხარება მოიშოროთ თავიდან. სამოცი წელი გიცხოვრიათ ჩვეულის წესით და ახლა ვერ დაადგებთ შეჩვეულ ცხოვრებას მხოლოდ უბრალოდ გაწვალდებით და სხვა არაფერი.

— დიაღ, დიაღ,—დაჰკრა კვერი მოხუცის დისწულმა,—გაჭირვებაში იქნებით და ცუდ გუნებაზე ბუზღუნს მოჰყვებით და კიდევ მეტ ცოდვებს ჩაიდენთ. ღმერთი კი მოწყალეა და ყველა ცოდვილს მიუტევებს და არა მარტო თქვენ, კარგსა და კეთილ ბიძიას.

— რა ჩვენი საქმეა ყველა ეს?—სთქვა მეორე, ბიძის ტოლმა, მოხუცმა. მე და შენ ეგებ ორი დღე ცხოვრება დაგვრჩენია. რაღა დროსია ახლა მაგეების დაწყება?

— საოცარია!—სთქვა ერთმა სტუმარმა (ის აქამდი სულ გაჩუმებული იყო), საოცარია! ყველანი ვამბობთ, რომ ღვთისნიერი ცხოვრება კარგია და რომ ჩვენ ცუდათა ვცხოვრობთ, სულითა და ხორცით ვიტანჯებით; და საქმეზე რომ მივიდა, გამოდი, რომ შვილების მორჯულება არ შეიძლება და უნდა ავღზარდოთ ისინი არა ღვთისნიერად, არამედ ძველებურად. ყმაწვილები მშობლების ნებას უნდა მიჰყვნენ და უნდა იცხოვრონ არა ღვთისნიერად, არამედ ძველებურად. ცოლ-შვილიანი კაცები ვერ მოარჯულებენ ცოლ-შვილს და უნდა იცხოვრონ არა ღვთისნიერად, არამედ ძველებურად, ბებრებისათვის კი—დაწყებად არა ღირს, შეჩვეულნიც არ არიან და ორი დღე ცხოვრება ღა დარჩენიათ გამოდის რომ, კეთილი ცხოვრება არავის არ შეუძლიან, და ინაზე მხოლოდ ლაპარაკი შეიძლება.

ა. ნაკაშიძე

სამხედრო ბეგარა

(თარგმანი)

ღამეა... პატარ-პატარა ღრუბლები გამალებული მიცურავენ ჩრდილოეთისაკენ და გზა-გზა თავის მოჩვენებითს სახეებს იცვლიან...

შემოდგომის წვიმა სცრის. შემდგარს გუბეებში ფანჯრების შუქი გამოკრთის...

არაფერი სასიამოვნოა ამისთანა ღამეში გარედ ყოფნა! დაგვიანებული მგზავრებიც ჩქარის ნაბიჯით მიეშურება სახლისაკენ. მხოლოდ წამოსასხამში გახვეულს პოლიციელს ზურ-

გი შეუშვერია ცივის ქარისთვის და უძრავად სდგას ერთ ადგილზედ.

* * *

ზეინკალ ივანე გორევის სახლში არ ეძინათ... ოთახში სიჩუმე იყო, ზინტლის სუნით შეზავებული დახშული ჰაერი იდგა. ფიცრის კედლის იქიდან, რომელიც სახლის პატრონების და მდგურების ოთახს ჰყოფდა, ჩაქუჩის კაკუნი მოისმოდა. მძინარენი დრო და დრო უაზროდ ბოდავდნენ...

ჩამომხმარი ივანე უბრალო სკამზედ იჯდა და თვალები ერთის კუნჭულისთვის მიეშტერებინა. დანაოჭებული ხელები უცბად მუხლებზედ ჩამოუვარდა...

იმასავით გამხდარი და გაყვითლებული ცოლი მობუძგული იჯდა საწოლზედ. ცალი ფეხით არწევდა აკვანს, რომელიც საცოდავად ჭრიალებდა...

მათის სახის გამომეტყველება რაღაც უბედურებას გამოხატავდა... ახალგაზდა ქალი ბავშვის ტირილზედ გამოერკვა და საჩქაროდ დაიხარა აკვანისაკენ.

— კარგი, კარგი... სსუ... ნანინა-ნანა...ოთახში „ნანინა“-ს სევდიანი ხმა გაისმა.

ივანემ გულმოსულმა გვერდზედ გააფურთხა და უწმაწურად შეიგინა... ქალმა ქმარს შეხედა და სიმღერა შესწყვიტა.

— იქნება არ წაგიყვანონ?

— ჰო, ეგ არის, შენ მაგ იმედით იყავ! მი'მ, წიგნაკი რაღად გამომართვეს? გუშინ დერეფანში ვიდექ და ვასო მოვიდა ჩემთან. მშვიდობით, ომში მივდივარო... ოთხი კაცი კიდევაც წაიყვანეს... წვრილ-შვილიანები არიან... საწყლები ტიროდნენ.

მძვინვარე ქარმა ფანჯრებს შემოუბერა, მინებს ზრიალი დააწყებინა და შემდეგ კვნესით მოშორდა.

ცოლი ქვითინებდა და გახუნებულის წინსაფარით ცრემლებს იწმენდავდა. ხან და ხან ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები და მოთქმაც მოისმოდა...

— ხვალ უფროსთან წავალ და ბავშვებს მივუყვან.. რაც უნდა ის უყოს! სად ოხრობაში გადავვარდე?

ბრაზ-მორეულმა ივანემ ხელ-ახლად გადააფურთხა და წაიბუტბუტა:

— რას ბოდავ?

მაგრამ ხველა აუვარდა და გულზედ ხელი იტაცა.

რადგან ჩემი ქმარი ომში გაჰგზავნესო“.—გასწი აქედან, წადი პენსიას დაგინიშნავენო, უთხრა უფროსმა. მართამ დაიჩოქა, მაგრამ უფროსის მოსამსახურემ კინწის კვრით გარედ გააგდო. აი, შენც ასე გიზამენ... გაიგე?

ცოლმა გაკვირვებით შეხედა და ცხვირსახოცს ჩიჩვა დაუწყო. ბავშვმა ტირილი მორთო. აკვნის ჭრიალს ქალმა სევდიანი „ნანინა“ შეუბანა... ქარი გაშმაგებით ეხეთქებოდა სახლის კედლებს და წვიმის წინწკლებს მიწებს უშხაპუნებდა.

— პენსია...—ხრინწავდა ივანე.—პენსია მარტო სახლს არ ეყოფა! რაღაც ორი გროშია, ჩვენ...

დერეფანში ზარის წკარუნი გაისმა. ივანე შეხტა, შემდეგ ფეხზედ წამოდგა... ცოლმა შეშინებული თვალები დააშტერა და ქვითინი დაიწყო.

— წავალ, გავაღებ!—სთქვა ივანემ და კარებისკენ გასწია.

ცოლი მივარდა და ხალათის სახელოში სწვდა.

— სად მიხვალ?.. ისინი არიან...—წაიჩურჩულა მან.

ივანემ ყოყმანი დაიწყო, მუხლები აუკანკალდა.

— წაგიყვანენ, წაგიყვანენ...—ჩურჩულებდა ცოლი და დაჭყეტილის თვალებით კარებს მისჩერებოდა.

ხელ-ახლად მოისმა ზარის წკარუნი... ორივენი შეკრთნენ. ქუჩიდან ღრიალი მოისმა:

— რა დაგემართათ, დაიხოცენით, თუ რა უბედურებაა თქვენს თავს?.. გააღე!

კიდევ ჩამოჰკრეს ზარი.

— უნდა გავაღო,—წაიბუტბუტა გონს მოსულმა ივანემ, გაინთავისუფლა ხელი, მივიდა კარებთან და რაზა გადმოაგდო. კარები გაიღო და ოთახში პოლიციელი შემოვიდა.

— ღამე უნდა ვათიო შენს კარებთან, თუ როგორ არის შენი საქმე? შენა ხარ ივანე გორევი?

— მე ვარ.—ყრუდ უპასუხა აღელვებულმა ივანემ.—ჩვენ ხალხნი ვართ... გვეძინა. ვერა ხედავ—ღამეა?

— აბა, გააბი! წამოდი საპოლიციო უბანში, გიბარებენ.

ივანე ადგილიდან არ იძროდა: სჩანდა, რომ პოლიციელის სიტყვები ვერ გაიგონა. თვალწინ წარმოუდგა ცოლი, ბავშვები...



ცეცხლისაგან გადამწვარი ქალაქი სიზრანი.

— რას ბოდავ, მეთქი?—გაიმეორა ივანემ,—ცოტა შენისთანა ყოფილა სათხოვნელად! ამას წინათ მეზობლიანთ მართა იყო უფროსთან, ბავშვებიც თან წაიყვანა... „მე, თქვენო კეთილშობილებავ, ამათი გამოკვება არ შემიძლიან,

— ჰა, გაინძერი, შე წყეულო! ასე გიცადო?

აქ პოლიციელმა წაავლო ივანეს ხელი და კარებისაკენ მიაგდო. ივანე წატორტმანდა, საწოლზედ დაეცა და ხველა აუტყდა.

— თავი დაანებე! — ჩაერია ცოლი. — ღმერთი არა გრწამს? ვერა ჰხედავ, ავადმყოფი კაცია?

— შენ ე მანდ ხმა გაკმინდე, როცა არა გკითხავენ! — შეუტია პოლიციელმა ივანეს ცოლს, რომელიც ხელის დაჭერას უპირებდა, და გულში ხელი ჰკრა. ივანე გაცეცხლდა და საწოლიდან წამოვარდა.

— შე არამზადავ, შენა, საქიდაოდ მოხველი? — დაუყვირა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუშტი შემოჰკრა.

— დაიჭი, დაიჭი! — დაიღრიალა პოლიციელმა.

ორმა ღონიერმა კაცმა ქვეშ ამოიდო ავადმყოფი მუშა. ივანე სრიალებდა და განთავისუფლებას სცდილობდა.

— წაათრიეთ, წაათრიეთ ეგ... დამაცა, მე შენ გაჩვენებ...

ბრძოლამ რამდენსამე წამს გასტანა. ბოლოს, უგონო ივანე გარეთ გაათრიეს.

— კაცის მკვლელებო, სისხლის მსმელებო! — გამოუდგა პოლიციელებს საზარელის კივილით ივანეს ცოლი...

ფეხის ხმა მისწყდა... ყველაფერი მიყუჩდა... ფიცრის კედელს იქით საათმა ოთხი დაჰკრა. გაღრენილს კარებში ცივი ქარი შემოვარდა, დერეფანში რაღაც გადმოაგდო, მაგიდაზედ მდებარე წიგნის რამდენიმე ფურცელი ააფრიალა და მიყუჩდა. ბავშვმა ტირილი დაიწყო.

ფანჯრიდან კი განთიადის მკრთალი სინათლე შემოპარულიყო.

დიმ. დეკანოზიშვილი

გასართობი

სოციალიზმი და რომანი. — კლასთა ბრძოლა იმდენად გამწვავებულია მთელს განათლებულ კაცობრიობაში, რომ აღარავითარ საშუალებას არ უკადრისობენ მტრის წინააღმდეგ. უკანასკნელად ერთმა ამერიკელმა მილიონერმა რომანი გამოსცა სოციალიზმის მასხარად ასაგდებად, „რომანს წითელი სახელმწიფო“ ჰქვიან და კარიკატურულად არის დახატული ის წესწყობილება საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომელსაც სოციალიზმი ქადაგებს. ამის პასუხად ერთმა ამერიკელმავე სოციალისტმა სინკლერმა რომანი დაბეჭდა „ჯანგლი“ და იმისთანა სინამდვილით აწერა მუშა-ხალხის უბედური, ყოველ ადამიანურ მოთხოვნილებას მოკლებული ცხოვრება, რომ თვით მართველობის ყურადღებაც კი დაიმსახურა. ამ უამად სასტიკი გამოძიებაა დანიშნული — ნუ თუ ქვა-ნახშირის მთხრელ მუშების ხვედრი ისეთი საშინელია, როგორიც ამას სინკლერის რომანი ამტკიცებსო.

**

ქალების საყურადღებოდ. — ქალების უფლებათა მოპოვებას არა მარტო ერთს რომელსამე ქვეყანაში, არამედ ყველგან, ემსახურება ლონდონში დაარსებული ქალთა საზოგადოება, ეგრედ წოდებული „Lyceum club“-ი. საზოგადოებას ლონდონის გარდა ჯერ-ჯერობით ბერლინსა და პარიზში აქვს თავისი განყოფილებანი. ამას წინად საზოგადოებამ კრებული გამოსცა, რომელშიაც მარტო ქალების ნაწარმოებია დაბეჭდილი, უფრო ბელლეტრისტიული თხზულებანი. უმთავრესი ადგილი კრებულში ინგლისურს ენას უჭირავს; საფრანგეთის მხრივ იქ მოიპოვება თხზულებანი ბენზონისა, ალ. დოდეს მეუღლისა, ბრადისი, ლიუსი ფელიქს-ფორისა და სხვ. იტალიიდან მრაცია დოლედდა, გერმანიიდან კლარა ვიბიმ, რუმინიიდან — კარმენ სილვა. კრებული დრო გამოშვებით გამოვა და აზრად აქვს გააცნოს კაცობრიობას ქალების ნიჭის ნაწარმოები და გარდა ამისა აღნუსხოს ყოველივე საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ქალთა მიერ უფლებათა მოპოვების საქმეს.

— სად მიდიხარ ეტლით?
— უსაქმოთა ბიუროში. მომცემენ რამე ადგილს?
— საშაგილო რა გიჭირს, მდიდარი ხარ.
— ამბობენ, ბევრია იქ მდიდარი, მეტი ლუკმა ვის გადაუგდია?

— მერე?!...

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ს. რცხილაძე.**

ელექტრონის სტამბა წიგ. გამოც. ქართ. ამხ—სა.
ვანქის დიდი ქუჩა — ტელეფონი № 37.